

**იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას
დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა
(მოსარგებლეთა გზამკვლევი)**

იშვიათ დაავადებად აღიარებულია ისეთი დაავადება, რომლის სიხშირე პოპულაციაში 2 000 მოსახლეზე 1–ზე ნაკლებია; სიცოცხლისათვის საშიშია და/ან იწვევს შეზღუდული შესაძლებლობების ფორმირებას; ახასიათებს ქრონიკული, ხშირად მძიმე მიმდინარეობა და საჭიროებს მულტიდისციპლინურ მართვას.

პროგრამის მიზანია იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.

პროგრამით განსაზღვრული მომსახურება ფინანსდება სრულად და არ ითვალისწინებს თანაგადახდას პაციენტის მხრიდან.

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურებები:

- **იშვიათი დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული მომსახურება**

ამბულატორიული მომსახურებით სარგებლობა შეუძლიათ 18 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქეებს, პირადობის ნეიტრალური მოწმობის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირებს, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებს, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელ პირებს, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს.

პროგრამა ითვალისწინებს ქვემოთ ჩამოთვლილი ნოზოლოგიების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიულ მომსახურებას ცხრილში მოცემული მოცულობის შესაბამისად, ასევე, რეცეპტებისა და სამედიცინო ცნობების გაცემას:

N	ICD-10	ნოზოლოგია	გამოკვლევები	რ-ბა წლის განმ-ში
1	E80.2	მწვავე ინტერმიტირებადი პორფირია	სისხლის საერთო ანალიზი	4
			შარდის საერთო ანალიზი	4
			ანტიფოსფოლიპიდური კარდიოლიპინების განსაზღვრა	1
			TSH - თირეოტროპული ჰორმონის განსაზღვრა	1
			FT4 - თავისუფალი თიროქსინის განსაზღვრა	1
			კრეტინინის და შარდოვანას განსაზღვრა სისხლში	1
			კრეტინფოსფოკინაზას განსაზღვრა სისხლში	1
			ელექტრონეიროგრაფია	1
			სპეციალისტთა კონსულტაციები	4
2	E27.1	ადისონის დაავადება (ჰიპოკორტიციზმი, პირველადი)	სისხლის საერთო ანალიზი	2
			სისხლში Na, K განსაზღვრა	2
			სისხლში კორტიზოლის განსაზღვრა	2
			სისხლში გლუკოზის განსაზღვრა	2
			სპეციალისტთა კონსულტაციები	2
3	Q87.8	ალსტრემის სინდრომი	სისხლის საერთო ანალიზი	2
			შარდის საერთო ანალიზი	2
			ღვიძლის ფუნქციური ტესტები (ალტ, ასტ, გგტ)	6
			სპეციალისტთა კონსულტაცია	4
4	E26.8	ბარტერის სინდრომი	სისხლის საერთო ანალიზი	4
			შარდის საერთო ანალიზი	4
			სისხლში Na-ის განსაზღვრა	4
			სისხლში K-ის განსაზღვრა	4
			სისხლში Cl-ის განსაზღვრა	4
			მჟავ-ტუტოვანი ბალანსის განსაზღვრა	4
			სპეციალისტთა კონსულტაციები	4
5	M35.2	ბეხჩეტის სინდრომი	სისხლის საერთო ანალიზი	2
			შარდის საერთო ანალიზი	1
			რენტგენოგრაფია (პროექციული)	1
			ღვიძლის ფუნქციური ტესტები (ალტ, ასტ)	4
			ალბუმინის განსაზღვრა სისხლში	4
			საერთო ბილირუბინის განსაზღვრა სისხლში	2
			სონოგრაფია	4
			CRP - C რეაქტიული ცილის განსაზღვრა	4
			სისხლში კრეტინინის განსაზღვრა	4
			სპეციალისტთა კონსულტაციები	4
6	D55.0	გლუკოზა-6-ფოსფატდეჰიდროგენაზას დეფიციტი (0-2 თვე, 2 თვ-18 წ)	სისხლის საერთო ანალიზი	4
			რეტუკულოციტების განსაზღვრა სისხლში	4
			მორფოერიტოგრაფია	4
			შარდის საერთო ანალიზი	4

			განავლის საერთო ანალიზი (სტერკობილინის შემცველობის განსაზღვრით)	4
			ბილირუბინისა და მისი ფრაქციების განსაზღვრა სისხლში	2
			სპეციალისტთა კონსულტაციები	4
			ძვლის ტვინის ასპირატის მორფოლოგიური შესწავლა	1
			სისხლის შრატში რკინის განსაზღვრა	1
			სისხლში თავისუფალი ჰემოგლობინის განსაზღვრა	1
7	E83.1	ჰემოქრომატოზი	სისხლის საერთო ანალიზი	2
			შრატში ფერიტინის და რკინის განსაზღვრა	2
			ღვიძლის ფუნქციური ტესტები (ალტ, ასტ)	2
			მუცლის ღრუს ულტრაბგერითი გამოკვლევა	2
			სპეციალისტთა კონსულტაცია	2
8	E16.8	ინსულინომა	სისხლის საერთო ანალიზი	2
			შარდის საერთო ანალიზი	2
			გლუკოზის დონის განსაზღვრა სისხლში	6
			მუცლის ღრუს ულტრაბგერითი გამოკვლევა	2
			სპეციალისტთა კონსულტაცია	2
9	E72.1	ჰომოცისტინურია	სისხლის საერთო ანალიზი	2
			შარდის საერთო ანალიზი	6
			ჰომოცისტინის განსაზღვრა შარდში	6
			სპეციალისტთა კონსულტაციები	6
10	C74	ფეოქრომოციტომა	სისხლის საერთო ანალიზი	2
			შარდის საერთო ანალიზი	2
			თირკმელზედა ჯირკვლების ულტრაბგერითი გამოკვლევა	2
			სპეციალისტთა კონსულტაცია	2
11	Q80.0	ვულგარული იქტიოზი	სისხლის საერთო ანალიზი	2
			შარდის საერთო ანალიზი	2
			სისხლის ბაქტერიოლოგიური კვლევა	1
			სპეციალისტთა კონსულტაციები	4
12	E23.0	ჰიპოფიზარული ნანიზმი	სისხლის საერთო ანალიზი	2
			შარდის საერთო ანალიზი	2
			ჰორმონული კვლევები (პროლაქტინი, კორტიზოლი, აკტჰ, სასქესო ჰორმონები)	1
			სპეციალისტთა კონსულტაციები	4
			ხელის მტევნის რენტგენოლოგიური გამოკვლევა	1
			კორტიზოლის განსაზღვრა სისხლში	1
			ზრდის ფაქტორების კვლევა (IGF-1, IGFBP3)	1

13	E84	ცისტური ფიბროზი (მუკოვისციდოზი)	პროფილურ სპეციალისტთა კონსულტაციები	3
			ექიმი-კოორდინატორის კონსულტაცია	4
			მუცლის ღრუს ულტრაბგერითი გამოკვლევა	2
			ელექტროკარდიოგრაფია	1
			კრეატინინი, შარდოვანა	2
			სპირომეტრია	1
			სისხლის საერთო ანალიზი	4
			განავლის მიკროსკოპიული გამოკვლევა	2
			ნახველის/ხახის ნაცხის ბაქტერიოლოგიური კვლევა	4
			ელექტროლიტების განსაზღვრა სისხლში	3
			ღვიძლის ფუნქციური ტესტები (ალტ, ასტ, გგტ)	2
			გულმკერდის რენტგენოგრაფია	1
			14	M91.1
შარდის საერთო ანალიზი	1			
მენჯ-ბარძაყის სახსრების რენტგენოგრაფია	4			
დ ვიტამინის განსაზღვრა სისხლში	1			
სპეციალისტთა კონსულტაციები	4			
Ca განსაზღვრა სისხლში	1			
15	D80.0	მემკვიდრული ჰიპოგამაგლობულინემია (ბრუტონის დაავადება)	სისხლის საერთო ანალიზი	6
			შარდის საერთო ანალიზი	6
			განავლის საერთო ანალიზი	4
			სისხლში IgG-ს განსაზღვრა	2
			ნეიროსონოსკოპია	4
			სპეციალისტთა კონსულტაცია	6
16	Q96	ტერნერის სინდრომი	მარცხენა ხელის მტევნის რენტგენოგრაფია	2
			გულის და შარდსასქესო სისტემის სონოგრაფია	2
			სპეციალისტთა კონსულტაციები	4
			დ ვიტამინის და იონიზებული კალციუმის განსაზღვრა სისხლში	1
			გლუკოზის დონის განსაზღვრა სისხლში	2
			ღვიძლის ფუნქციური ტესტები (ALT, AST)	1
			TSH -თირეოტროპული ჰორმონის განსაზღვრა	1
			FT4- თავისუფალი თიროქსინის განსაზღვრა	1
17	Q81.9	ბულოზური ეპიდერმოლიზი	სისხლის საერთო ანალიზი	3
			შარდის საერთო ანალიზი	2
			კანის ბაქტერიოლოგიური კვლევა	2
			სპეციალისტთა კონსულტაციები	4
			მტევნის რენტგენოლოგიური კვლევა	1
			ტერფის რენტგენოლოგიური კვლევა	1

18	K90.0	გლუტენის ავადმყოფობა (ცელიაკია)	საჭმლის მომნელებელი სისტემის ულტრაბგერითი კვლევა	1
			სისხლის საერთო ანალიზი	2
			სპეციალისტთა კონსულტაციები	4
			რკინის განსაზღვრა სისხლის შრატში	1
			ციანკობალამინის განსაზღვრა სისხლში	1
			გლუკოზის განსაზღვრა სისხლში	2
			ფერიტინის, იონიზებული Ca, ALT განსაზღვრა სისხლში	1
			TTG IgG ან გლუტენის მიმართ დეზამინირებული IgA ანტისხეულების განსაზღვრა სისხლში	3
19	G40.4	გენერალიზებული ეპილექსიისა და ეპილექსიური სინდრომების სხვა ფორმები - დრავეს სინდრომი; ეპილექსიური ენცეფალოპათია CDKL 5, SCN2A გენის მუტაცია	სისხლის საერთო ანალიზი	2
			შარდის საერთო ანალიზი	2
			ღვიძლის ფუნქციური ტესტები - ალანინამინოტრანსფერაზას, ასპარტატამინოტრანსფერაზას, გამაგლუტამინტრანსფერაზას, ბილირუბინის, ტუტეფოსფატაზას განსაზღვრა	2
			პროფილურ სპეციალისტთა კონსულტაციები	4
			ხანგრძლივი ვიდეო-ენცეფალოგრაფია	2
			20	E76.0 E76.1
ხერხემლის მალეების რენტგენოგრაფია ორ პროექციაში	1			
გულმკერდის რენტგენოგრაფია	1			
სისხლის საერთო ანალიზი	2			
მჟავე მუკოპოლისაქარიდების განსაზღვრა შარდში	1			
ხახის ნაცხის ბაქტერიოლოგია	1			
საჭმლის მომნელებელი სისტემის ულტრაბგერითი გამოკვლევა	1			
მენჯ-ბარძაყის რენტგენოგრაფია	1			
ელექტროკარდიოგრაფია	1			
21	D69.3	იდიოპათიური თრომბოციტოპენიური პურპურა	სისხლის საერთო ანალიზი	6
			კოაგულოგრამა	4
			სპეციალისტთა კონსულტაციები	6
			საჭმლის მომნელებელი სისტემის ულტრაბგერითი გამოკვლევა	1
22	D82.4	ჰიპერიმუნოგლობულინ E სინდრომი	სისხლის საერთო ანალიზი	4
			შარდის საერთო ანალიზი	4
			სისხლის ბაქტერიოლოგიური კვლევა	2
			სპეციალისტთა კონსულტაცია	4
23	Q87.1	თანდაყოლილი ანომალიების სინდრომები დაკავშირებული უპირატესად ქონდარა	სისხლის საერთო ანალიზი	2
			TSH, პროლაქტინი, კორტიზოლი, ადრენოკორტიკოტროპული ჰორმონი	2

		ზრდასთან - პრადერ-ვილის სინდრომი	25(OH)D	2
			გლუკოზის, ტუტეფოსფატაზის, ლიპიდური ცვლის, ფოსფორის განსაზღვრა სისხლში	2
			სომატომედინ C, IGF-1	2
			სომატომედინ C, IGFBP-3	2
			ულტრასონოგრაფია	3
			პროფილურ სპეციალისტთა კონსულტაციები	4
24	E83.3	ფოსფორის მეტაბოლიზმის დარღვევები	სისხლში კალციუმის, ფოსფორის, ტუტე ფოსფატაზას განსაზღვრა	4
			სისხლში პარათჰორმონის განსაზღვრა	2
			შარდში კალციუმის, კრეატინინის განსაზღვრა	4
			შარდში ფოსფორის რეაბსორბციის განსაზღვრა	4
			სისხლის საერთო ანალიზი	4
			შარდის საერთო ანალიზი	4
			საშარდე სისტემის ულტრაბგერითი გამოკვლევა	2
			სპეციალისტთა კონსულტაცია	4
25	E71.1	განშტოებულჯაჭვიანი ამინომჟავებისა და მეტაბოლიზმის სხვა დარღვევები (პროპიონული აციდემია, იზოვალერილ აციდურია, მეთილმალონის აციდურია, ნეკერჩხლის სიროფის შარდის დაავადება)	სისხლის საერთო ანალიზი	2
			სისხლში ამიაკის განსაზღვრა	4
			სისხლში ლაქტატის განსაზღვრა	4
			სისხლში მჟავა-ტუტოვანი წონასწორობისა და ელექტროლიტების განსაზღვრა	4
			სისხლში გლუკოზის განსაზღვრა	4
			შარდის საერთო ანალიზი	1
			შარდში მეთილმალონის განსაზღვრა	4
			ულტრაბგერითი გამოკვლევა (მუცლის ღრუ, თირკმელები)	1
			ელექტროკარდიოგრაფია	1
			ელექტროენცეფალოგრაფია	2
			ღვიძლის ფუნქციური სინჯები (ალტ, ასტ, გგტ)	2
			თირკმლის ფუნქციური სინჯები (კრეატინინი, შარდოვანა)	2
			პროფილური სპეციალისტების კონსულტაცია	4
26	E77.8	გლიკოპროტეინების მეტაბოლიზმის სხვა დარღვევები	სისხლის საერთო ანალიზი	2
			შარდის საერთო ანალიზი	4
			TSH, FT4, FT3, თირეოგლობულინის განსაზღვრა	1
			პროტეინი C, პროტეინი S, ანტითრომბინი III, IX ფაქტორი, კოაგულოგრამა.	1
			ღვიძლის ფუნქციური ტესტები: ალანინამინოტრანსფერაზა, ასპარტატამინოტრანსფერაზა, გამაგლუტამინტრანსფერაზა, ტუტეფოსფატაზა, ალბუმინი.	1
			მუცლის ღრუს ულტრაბგერითი გამოკვლევა	1
			თირკმლის ულტრაბგერითი გამოკვლევა	1

			ელექტროენცეფალოგრაფია	1
			პროფილურ სპეციალისტთა კონსულტაციები	4
27	F84.2	რეტის სინდრომი	სისხლის საერთო ანალიზი	1
			შარდის საერთო ანალიზი	1
			ღვიძლის ფუნქციური ტესტები (ალტ, ასტ)	1
			ვიტამინი D განსაზღვრა სისხლში	1
			კორეგირებული Ca განსაზღვრა	1
			ელექტროენცეფალოგრამა	2
			ელექტროკარდიოგრაფია	1
			ხერხემლის რენტგენოლოგიური კვლევა	1
			სპეციალისტთა კონსულტაციები	6
28	D71	ქრონიკული (ბავშვთა) გრანულომატოზური ავადმყოფობა	სისხლის საერთო ანალიზი	2
			CRP - C რეაქტიული ცილის განსაზღვრა	2
			ღვიძლის ფუნქციური ტესტები (ალტ, ასტ, გგტ)	2
			პროფილურ სპეციალისტთა კონსულტაციები	4
29	Q34.8 (J98.0)	პირველადი ცილიარული დისკინეზია	გულმკერდის რენტგენოგრაფია	1
			ნახველის/ხახის ნაცხის ბაქტერიოლოგიური კვლევა	2
			სპირომეტრია	2
			პროფილურ სპეციალისტთა კონსულტაციები	4

➤ იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვთა სტაციონარული მომსახურება

მომსახურებით სარგებლობა შეუძლიათ 18 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქეებს, პირადობის ნეიტრალური მოწმობის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირებს, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებს, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელ პირებს, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს.

პროგრამა ითვალისწინებს ქვემოთ ჩამოთვლილი ნოზოლოგიების მქონე 18 წლამდე ასაკის პირების სტაციონარულ მკურნალობას.

№	დასახელება	კოდი (ICD-10)
	მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებული დაავადებები	
1	რეგიონული ენტერიტი	K50
2	მალაბსორბცია გამოწვეული ტოლერანტობის დარღვევით	K90.4
3	იუვენილური დერმატომიოზიტი	M33.0

№	დასახელება	კოდი (ICD-10)
4	იუვენილური მანკილოზირებელი სპონდილიტი	M08.1
5	რეიტერის დაავადება	M02.3
6	სისტემური სკლეროზი (სკლეროდერმია)	M34
7	სისტემური წითელი მგლურა	M32
8	ვეგნერის გრანულომატოზი	M31.3
9	იუვენილური პოლიარტერიტი	M30.2
10	კან-ლორწოვან-ლიმფური კვანძების სინდრომი (კავასაკი)	M30.3
11	არასრული ოსტეოგენეზი	Q78.0
12	ლულოვანი ძვლების ქრონიკული ოსტეომიელიტის გამწვავება, კონსერვატიული მკურნალობა	M86
13	ქრონიკული ოსტეომიელიტი-სეკვესტრექტომია	M86.6
14	მინკოვსკი-შოფარის ჰემოლიზური ანემია – მემკვიდრული სფეროციტოზი	D58.0
15	დიდი თალასემია (ჰემოლიზური კრიზით)	D56.1
16	თანდაყოლილი დიზერიტროპოეტური ანემია ტიპი II	D64.4
17	ანემია გამოწვეული ფერმენტული დარღვევებით	D55
18	მედიკამენტოზური ჰემოლიზი	D59.8
19	შონლაინ-ჰენოსის დაავადება	D69.0
20	იდიოპათიური თრომბოციტოპენიური პურპურა	D69.3
21	იუვენილური რევმატიოიდული ართრიტი	M08.0
22	ჰიპერთირეოიდიზმი ჩიყვით და ჩიყვის გარეშე	E05
	იშვიათი დაავადებები	
23	მწვავე ინტერმიტირებადი პორფირია	E80.2
24	ადისონის დაავადება	E27.1
25	ალსტრემის სინდრომი	Q87.8
26	ბარტერის სინდრომი	E26.8
27	ბეხჩეტის სინდრომი	M35.2
28	გლუკოზა-6-ფოსფატდეჰიდროგენაზას დეფიციტი	D55.0
29	ჰემოქრომატოზი	E83.1
30	ინსულინომა	E16.8
31	ფენილკეტონურია	E70.1
32	ჰომოცისტინურია	E72.1
33	ფოქრომოციტომა (ქირურგიული მკურნალობა)	C74
34	ვულგარული იქთიოზი	Q80.0
35	ჰიპოფიზარული ნანიზმი	E23.0
36	ცელიაკია	K90.0
37	ცისტური ფიბროზი (მუკოვისციდოზი)	E84
38	ბარდაყის ძვლის თავის იუვენილური ოსტეოქონდროზი ლეკ-კალვე-პერტესის დაავადება) (ქირურგიული მკურნალობა)	M91.1
39	მემკვიდრული ჰიპოგამაგლობულინემია (ბრუტონის დაავადება)	D80.0

- ჰემოფილით და სისხლის შედედების სხვა მემკვიდრული პათოლოგიებით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება

მომსახურებით სარგებლობა შეუძლიათ ჰემოფილით და სისხლის შედედების სხვა მემკვიდრული პათოლოგიებით (ჩამონათვალი იხ. ქვემოთ) დაავადებულ საქართველოს მოქალაქეებს, პირადობის ნეიტრალური მოწმობის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირებს, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებს, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელ პირებს, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს, ასევე, საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირებს ან საქართველოში მუდმივად მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ასაკის შეუზღუდავად.

სისხლის შედედების მემკვიდრული პათოლოგიები:

- ა) D66 – VIII ფაქტორის მემკვიდრული დეფიციტი (ჰემოფილია A);
- ბ) D67 – IX ფაქტორის მემკვიდრული დეფიციტი (ჰემოფილია B);
- გ) D68.0 – ფონ-ვილებრანდის დაავადება (VWD);
- დ) D68.1 – XI ფაქტორის მემკვიდრული დეფიციტი;
- ე) D68.2 – სისხლის შედედების სხვა ფაქტორების მემკვიდრული დეფიციტი:
 - ე.ა) I (ფიბრინოგენი);
 - ე.ბ) II (პროთრომბინი);
 - ე.გ) V (ლაბილური ფაქტორი, ანუ პროაქცელერინი);
 - ე.დ) VII (სტაბილური, ანუ პროკონვერტინი);
 - ე.ე) X (სტიუარტ-პრაუერი);
 - ე.ვ) XII (ჰაგემანი);
 - ე.ზ) XIII (ფიბრინ-მასტაბილიზირებელი).
- ვ) D69.1 – თრომბოციტების თვისებრივი დეფექტები.

პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარები იღებენ ამბულატორიულ და სტაციონარულ მომსახურებას, ასევე, უზრუნველყოფილნი არიან მედიკამენტებით, კერძოდ:

ამბულატორიულ მომსახურება მოიცავს:

- ჰემატოლოგის და სხვა სპეციალისტების კონსულტაციას;
- სისხლდენებისა და სისხლჩაქცევების დროს სისხლის კომპონენტების, ჰემოსტატიკების და ფაქტორების ტრანსფუზიას;
- კლინიკო-ლაბორატორიულ გამოკვლევებს (მათ შორის, გამოკვლევები სწრაფი ტესტებით B და C ჰეპატიტებსა და აივ-ინფექციაზე);
- სისხლის შედედების ფაქტორების გამოკვლევას;
- თრომბოციტების ფუნქციური გამოკვლევას;
- ფიზიოთერაპიული მომსახურებას (ფიზიოთერაპიული ვარჯიშები).

სტაციონარული მომსახურება:

- ჰემორაგიული დიათეზის შემთხვევებში ჰოსპიტალური მომსახურება;
- ჰემოფილური ართროპათიით გამოწვეული ორთოპედიული მომსახურება.

➤ მედიკამენტებით უზრუნველყოფა

პროგრამის ფარგლებში სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფილნი არიან ქვემოთ ჩამოთვლილი ნოზოლოგიების მქონე საქართველოს მოქალაქეები, პირადობის ნეიტრალური მოწმობის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელი პირები, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები, ასევე, საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირები ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეები ასაკის შეუზღუდავად.

- ✓ ჰემოფილით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა და მათი ბენეფიციართათვის მიწოდება (მათ შორის, გართულებულ შემთხვევებში და ჰოსპიტალიზაციების დროს)
 - ანტიჰემოფილური ფაქტორ-კონცენტრატები – VIII, IX, XIII ფაქტორი;
 - ანტინჰიბიტორული პროთრომბინ-კომპლექსი;
 - ანტინჰიბიტორული VII ფაქტორი;
 - ანტინჰიბიტორული კოაგულაციური კომპლექსი.
- ✓ ფენილკეტონურია - სამკურნალო საკვები დანამატი - ცილა (ამინომჟავები);
- ✓ მუკოვისციდოზი - პანკრეასის ფერმენტები და მუკოლიზური საშუალება დორნაზა ალფა;
- ✓ მემკვიდრული ჰიპოგამაგლობულინემია (ბრუტონის დაავადება) და საერთო ვარიანტული იმუნოდეფიციტის სინდრომი - ინტრავენური იმუნოგლობულინები;
- ✓ ზრდის ჰორმონის დეფიციტი, ტერნერის სინდრომი, პრადერ-ვილის სინდრომი და რასელ-სილვერის სინდრომი - ზრდის ჰორმონი - სომატოტროპინი;
- ✓ იუვენილური ართრიტი - ბიოლოგიური პრეპარატები (ემციზუმაბი, ტოცილიზუმაბი, ეტანერცეპტი, ადალიმუმაბი);
- ✓ დიდი თალასემია და თანდაყოლილი დიზერიტროპოეტური ანემია ტიპი II-რკინის შემბოჭავი პრეპარატები;
- ✓ ფილტვების იდიოპათური ფიბროზი - მედიკამენტის „პირფენიდონი“;
- ✓ ვილსონის დაავადება (E83.0) - ჰელატური აგენტის D-პენიცილამინი.
- ✓ ჰიპოთირეოზის მძიმე ფორმა - ინტრავენური L-თიროქსინი.
- ✓ სპინალური კუნთოვანი ატროფია - სპეციფიკური მედიკამენტი - რისდიპლამი;

- ✓ 18-იდან 60 წლის ასაკის ჩათვლით გაფანტული სკლეროზი (გარდა ქ, თბილისსა და აჭარის ა/რ-ში რეგისტრირებული პირებისა) სპეციფიკური მამოდიფიცირებელი მედიკამენტები;
- ✓ დიუშენის კუნთოვანი დისტროფია - მედიკამენტი „დეფლაზაკორტი“ .

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურებებით სარგებლობის წესი

ზემოაღნიშნული რომელიმე დიაგნოზის დადასტურების შემთხვევაში, ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურებების მისაღებად ბენეფიციარმა უნდა მიმართოს პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებას.

მედიკამენტის ვაუჩერის მისაღებად მოსარგებლებმა, განცხადებით, უნდა მიმართონ სსიპ ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოს ან მის ტერიტორიულ ერთეულს. განცხადებას თან უნდა ახლდეს:

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (პირადობის მოწმობა, საქართველოს მოქალაქის პასპორტი, მუდმივი ბინადრობის მოწმობა);
- სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ფორმა №IV-100/ა, რომელიც უნდა მოიცავდეს დადასტურებულ დიაგნოზს (ICD-10 მითითებით), საჭიროების შემთხვევაში გენეტიკური კვლევის შედეგს, მკურნალობისთვის საჭირო მედიკამენტის დასახელებას, დღიური დოზის მითითებით;
- წარმომადგენლის მომართვისას - დამატებით, წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო ფორმა №IV-100/ა საფუძველზე, პირს არეგისტრირებს მედიკამენტების ელექტრონულ პროგრამაში, რის შემდეგ, მოსარგებლეზე მედიკამენტის გაცემა ხორციელდება შესაბამისი მიმწოდებელი აფთიაქის მიერ, ხოლო ჰემოფილიის და სისხლის შედედების სხვა მემკვიდრული პათოლოგიების შემთხვევაში - მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულების მიერ.

მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებები იხილეთ:

<https://nha.moh.gov.ge/storage/files/shares/Momwodebeli%20dawesebulebebi/Ishviati%20daa vadebebi.pdf>

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ სამინისტროს ცხელ ხაზზე 15 05